იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8
ტელ.: 99 47 42
E-mail: legalcmt@parliament.ge

№ 10667/4-10
20 10 2004 წ

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

დასკვნა

(კანონპროექტებზე „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დამატებების შეტანის შესახებ")

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მიმდინარე წლის 21 ოქტომბრის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა პარლამენტის წევრის ლევან ბეჟაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტები: „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დამატებების შეტანის შესახებ".

სხდომაზე გამოთქმული იქნა რამდენიმე შენიშვნა და წინადადება, რომელთა საფუძველზე კომიტეტმა მიიჩნია, რომ მგზავრის მიერ უსაფრთხოების დვედის გამოუყენებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს საერთაშორისო საშუალების მძღოლს. ასევე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაწესდეს პასუხისმგებლობა მოტოციკლით მგზავრობისას მოტოსაფხეკის გამოუყენებლობისათვის, ხოლო მოძრაობისას მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობისა და უსაფრთხოების დვედის გამოუყენებლობისათვის წარმოდგენილი სანქციები უნდა გაიზარდოს. კომიტეტმა ასევე მიიჩნია, რომ მოსახლეობის

უკეთ ინფორმირების მიზნით მიზანშეწონილია აღნიშნული კანონპროექტები ძალაში შევიდეს 2005 წლის 1 იანვრიდან.

გამოთქმული შენიშვნები ინიციატორის მიერ გაზიარებულ იქნა.

სხდომაზე აგრეთვე გამოითქვა მოსაზრება, რომ წარმოდგენილი ცვლილებების პარალელურად აუცილებელია დაწესდეს სატრანსპორტო საშუალებათა საქარე და გვერდითი მინების დამუქების დასაშვები ნორმა, რომლის დარღვევისათვის დადგენილი უნდა იქნეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. კომიტეტის მიერ ეთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს შემუშავებული იქნეს მინების დამუქების დასაშვები ნორმა, რის შემდეგაც, წარმოდგენილი კანონპროექტების კომიტეტის სხდომაზე მეორე მოსმენისას შესაძლებელი იქნება განხილული იქნეს ამ დასაშვები ნორმის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დადგენის საკითხი.

ამდენად, გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, კომიტეტი მხარს უჭერს წარმოდგენილი კანონპროექტების ძირითად პრინციპებსა და დებულებებს და მიზანშეწონილად მიაჩნია მათი პირველი მოსმენით განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნინო კალანდაძე